



ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან: 36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 465; დამოუკიდებელი - 379, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 56)

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 600)

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი - უნარების ტესტის მინიმალური ზღვარი აქვს გადალახული და აქვს ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტი, რომელსაც IV საფეხურის დონის შესაბამისად და გარკვეული დამოუკიდებლობით შეეძლება ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების მოდელის მოძიება და კერვის ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით სამუშაოს შესრულება.

VII. სწავლის შედეგი:

| | |
|-------------------------------------|--|
| ცოდნა და გაცნობიერება | <i>აქვს</i> სპეციალობის თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკულ თავისებურებებზე დამყარებული ცოდნა ფეხსაცმლის ზედაპირის კერვის ტექნოლოგიების სფეროში, <i>იციან</i> ფეხსაცმლის საზედაპირე დეტალების დამუშავების მეთოდებს, დეტალური ნაწილების შესაერთებლად საჭირო ხერხებსა და საშუალებებს, ნაწარმის დეტალების შეერთების მეთოდებს. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | <i>შეუძლია</i> სამუშაოს დაგეგმვისა და ფეხსაცმლის ზედაპირის შესრულების პროცესში, გამოიყენოს აპრობირებული ინფორმაციის წყაროები (პროფესიული ლიტერატურა) შეიმუშაოს სტრატეგია, წამოჭრილი შესასრულებელი ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, შეუძლია დამოუკიდებლად შეიმუშაოს ფეხსაცმლის ზედაპირის ძირითადი ნაწილების საწყისი დამუშავების ხერხები, შეადგინოს ნაწარმის კერვის ტექნოლოგიური თანმიმდევრობა, გაითვალისწინოს დამუშავების თავისებურებანი, შეძლოს შერჩეული დამუშავების მეთოდით ნამზადის დამზადება. ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის ნამზადის ძირითადი განაჭერი ნაპირების შეერთება, ნაწარმის დეტალების გაფორმება, ზედაპირის დეტალების ჩაშვება, ხილული ნაპირების შეღებვა. საკავშირე სადყელის და ენაკის დაყენება. კოჭმფარზე უკანა გარეთასმის დაკერება. კოჭმფარის კანტის დაკვეცვა. ტყავ-სარჩულის დაწებება ზედაპირზე. კოჭმფარის კანტის დაგვირისტება, სარჩულის ზედმეტობის შემოჭრა. რგოლაკების ჩასმა. კოჭმფარის მიკერება საკავშთან. <i>შეუძლია</i> წალის, ნახევარწალის და ფეხსაცმლის ასორტიმენტის ტექნოლოგიური დამუშავების ძირითადი პირნციპებისა და ოპტიმალური მეთოდების გამოყენებით ხარისხიანი ზედაპირის შესრულება. შეუძლია ნაწარმის კონსტრუქციისა და მისი ელემენტების დეტალური დახასიათება, ხელისა და მანქანური გვირისტების სახეების ტექნიკური შესრულება, სამკერვალო მანქანების ტექნოლოგიური რეგულირება და მათთან მუშაობა. |
| დასკვნის გაკეთების უნარი | <i>შეუძლია</i> ფეხსაცმლის ზედაპირის კერვის სპეციფიური პრობლემების გააზრება, პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების განხილვა, შერჩევა და მიღებული შედეგის ანალიზი. |

| | |
|--------------------|--|
| კომუნიკაციის უნარი | <i>შეუძლია</i> ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეუძლია ესკიზური ტექნიკური და კონსტრუქციულ-ეკონომიკური პროექტების წაკითხვა და ინფორმაციის გადამუშავება, რომელთა გადაწყვეტა თავის მხრივ გულისხმობს ნაწარმის მაღალკვალიფიციურ შესრულებას. შეუძლია უცხო ენაზე სპეციალური, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით. |
| სწავლის უნარი | <i>შეუძლია</i> გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული ცოდნის გაღრმავების (მათ შორის მომიჯნავე დარგებში) და განვითარების საფეხურები. |
| ღირებულებები | პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს. მუშაობისას უპირატესობას ანიჭებს ეკოლოგიურად სუფთა მასალას. აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები, იცავს შრომის ეთიკისა და მორალის ნორმებს, ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე. |

VIII. სწავლის შედეგების რუკა

I სემესტრი

| საგნები | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის გაკეთების უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|--|-----------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------|---------------|--------------|
| ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია (ტყავის ნაწარმის დეტალების შეერთება, გაფორმება) და პრაქტიკა | X | X | | | | |
| ინფორმატიკა | X | X | | X | | |
| ინგლისური ენა | X | X | | X | | |
| მეწარმეობის საფუძვლები | X | X | | X | | |

II სემესტრი

| საგნები | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის გაკეთების უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|--|-----------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------|---------------|--------------|
| ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია და პრაქტიკა | X | X | | | | |
| ტყავის ნაწარმის მოდელირება და კონსტრუირება | X | X | | | X | |
| ხატვა, მოდელირების კომპოზიცია | X | X | | | | |

IX. სასწავლო გეგმა

I სემესტრი

| ს ა გ ნ ე ბ ი | კრედიტების რაოდენობა | ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა | | | | | სულ საათების რაოდენობა | |
|--|----------------------|-------------------------------------|---------------|-------------------|-------------------|------------------------------|------------------------|-----------------------|
| | | საკონტაქტო საათები | | | | | | |
| | | ლექცია/პრაქტიკული | ლაბორატორიული | სასწავლო პრაქტიკა | საწარმოო პრაქტიკა | შუალედური/დასკვნითი შეფასება | | დამოუკიდებელი საათები |
| ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია (ტყავის ნაწარმის დეტალების შეერთება, გაფორმება) და პრაქტიკა | 3 12 | 45 | | 300 | | 8 | 22 | 75 300 |
| ინფორმატიკა | 5 | 60 | | | | 8 | 57 | 125 |
| ინგლისური ენა | 5 | 60 | | | | 8 | 57 | 125 |
| მეწარმეობის საფუძვლები | 5 | 60 | | | | 8 | 57 | 125 |
| სულ | 30 | 225 | | 300 | | 32 | 193 | 750 |

II სემესტრი

| ს ა გ ნ ე ბ ი | კრედიტების რაოდენობა | ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა | | | | | სულ საათების რაოდენობა | |
|--|----------------------|-------------------------------------|---------------|-------------------|-------------------|------------------------------|------------------------|-----------------------|
| | | საკონტაქტო საათები | | | | | | |
| | | ლექცია/პრაქტიკული | ლაბორატორიული | სასწავლო პრაქტიკა | საწარმოო პრაქტიკა | შუალედური/დასკვნითი შეფასება | | დამოუკიდებელი საათები |
| ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია და პრაქტიკა | 4 12 | 60 | | | 300 | 8 | 32 | 100 300 |
| ტყავის ნაწარმის მოდელირება და კონსტრუირება | 7 | 90 | | | | 8 | 77 | 175 |
| ხატვა, მოდელირების კომპოზიცია | 7 | 90 | | | | 8 | 77 | 175 |
| სულ | 30 | 240 | | | 300 | 24 | 186 | 750 |

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (B) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი; X
- ზეპირი გამოკითხვა; ×
- პორტფოლიო;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება. ×

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება; ×

პრაქტიკული მეცადინეობა; ×

ლაბორატორიული სამუშაო; ×

სასწავლო პრაქტიკა; ×

საწარმოო პრაქტიკა. ×

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
3. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.
(საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, მუხლი 12. პროფესიული განათლების მასწავლებელი (21.07.2010. N3529 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)

IV საფეხური

| კურსი/მოდული/საგანი | სახელი, გვარი | კვალიფიკაცია |
|--|--------------------------------------|---|
| ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია (ტყავის ნაწარმის დეტალების შეერთება, გაფორმება) და პრაქტიკა | დემეტრადე ლეილა გერგემელიძე ლეილა | დოქტორი დოქტორანტი |
| ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია და პრაქტიკა | დემეტრადე ლეილა გერგემელიძე ლეილა | დოქტორი დოქტორანტი |
| ტყავის ნაწარმის მოდელირება და კონსტრუირება | დემეტრადე ლეილა კიკნაძე ნანი | დოქტორი უფ. მასწავლებელი, დოქტორანტი |
| ხატვა, მოდელირების კომპოზიცია | გზირიშვილი ნინო | დოქტორანტი |
| ინგლისური ენა | ლოლუა თამარი | მასწავლებელი |
| ინფორმატიკა | ნიჟარაძე მზიანა | მასწავლებელი |
| მეწარმეობის საფუძვლები | გოგოლაძე გელა | მასწავლებელი |

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუ-ს 9 კორპუსი მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ტექნოლოგიის 1126 მიმართულების სახელოსნო-ლაპორატორია.

XIV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება სტუ-ს 9 კორპუსის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ტექნოლოგიის 1126 მიმართულების სახელოსნო-ლაპორატორიაში.

სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია “მსუბუქი მრეწველობა” – გორგასალის 61

შპს “სტიმული” – ბოლქვამის 3

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროგრამით.